ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2770545

ნომერი: AR1417777

თარიღი : 28.06.2016

გაცემის თარიღი : 10.08.2016

გაცნობის თარიღი : 11.08.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , მიკრო/რაიონი I , კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ, (ნაკვეთი N15/20) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ნადარაია პ/ნ 01010010806
- საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძეს ქუჩა, N 15, ბინა 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო აბრების მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-გლდანი, გლდანი, I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ, (ნაკვ. #15/20)–ში, შპს "დალანდი"–ს და შპს "ერა"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო აბრების მოწყობას. განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური".

"მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტის საკადასტრო მონაცემები #01.11.12.015.020; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი, მესაკუთრეთა თანხმობები, შეთანხმებული პროექტის ასლები, პროექტის შეთანხმების ბრძანება #623 02.10.1998 წ., ექსპლუატაციაში მიღების აქტი #104/2001 02.05.2001 წ. და გამგეობის დადგენილება #53 15.06.2001 წ.) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-გლდანი, გლდანი, I მ/რ, კარტოგრაფიული ფაბრიკის მიმდებარედ, (ნაკვ. #15/20)–ში, შპს "დალანდი"–ს და შპს "ერა"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო აბრების მოწყობის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.